

140  
1985

ISSN 0182-5970



ՀԱՅԿԱՍՏԱՆ

12  
1985



სამთავისელი ლალი ჩაჩაიჭიშვილი ღებუი 100-150 კილოგრამ სურამს აკრავს.

# ჩვენი ბაჩუკა, ზნითითი შეაჩეთაჯ- საშოჯლო

თეფორ მამბარელი  
ავტორის ფოტოგე

დღეს სამთავისის კოლმეურნეობას, ეწვეოდა ხოლმე. შრომისმოყვარე გოგო-ბიჭები ჯერ მებნლეებს დაეხმარნენ ლოყაითელი ვაშლის კრეფაში, მერე ვენახებში გადაინაცვლეს და ახლა იქ გააჩაღეს ნაყოფიერი შრომა.

სეკატორით, სამყნობი დანით თუ მაკრატლით შეიარაღებული მოსწულეები ხალისით კრეფდნენ ქარვისფერ მტეგნებს. ზედიზედ იცვებოდა ვეღროები და კალათები. მარჯ მიაღებ, ნინო ყაჭიოთი, მათა ყაზარაშვილი, ირმა ჩიტიშვილი და სხვები მუხჩაუხრელად მუშობდნენ თავიანთი შეფის ზურგებში.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე არჩილ კუდუხოვი დროდადრო ვაზის ძირებთან მოფხვფხუე წითელყვლე-სახეფიანებისაყენ გააპარებდა ხოლმე შვერას, კმაყოფილებით ეღიმებოდა და თან თავისთვის ფეჭრობდა, — ჰო, დანაპირებს უთუოდ შეგისრულებთო.

სატვირთო მანქანის ძარაზე წამოსკუბებულ ზვიად მაჭარაშვილს გაზეთიქული სახის შეწმენდის დრო აღარ რჩებოდა — მეშვიდეკლასელები მაკა ნინოშვილი, ლალი ჩაჩაიჭი, ზვიად სეთურიძე, მიაა ლომაძე და სხვები ზედიზედ აწვდიდნენ ნტეგნებით პირთამდე საყე ვეღროებს! — ჩქარა დაცალე, რთველი გახურდლო!

რაზეულის საბჭოს თავმჯდომარე

ნინო გეგაძე ისევე ღებუი მომუშაე თინატოლებს უფრო აქეზებდა: ხომ იცით, ჩვენი შეფი რას შეგებრდა—, თქვენი ანსამბლს ქართულ ხალხურ საყრავებს შევეძენით, თუ კარგად იმუშაევეთო... შრომისმოყვარე გოგო-ბიჭებიც ძალღონეს არ იმურებდნენ. თითოეულ მათგანი დღეში ას, ასორმოცდაათ კილოგრამს კრეფდა და საბოლოოდ კოლმეურნეობის მარანში იცი ტონა ყურტენი შევიდა.

რთველი რომ დამთავრდა და მოსავლიც საიმედოდ დაბინავეს, კოლმეურნეობის გამგეობამ დანაპირები შეასრულა — კასის მე-3 საშუალო სკოლის ქართული ხალხური სიმღერების ანსამბლის ხელმძღვანელს. სალამურზე დაკვრის ისტატუს სერგი ნინოშვილს ანსამბლის წეერებსისათვის ხალხური საყრავების კომპლექტი გადასცა, ხოლო თითო სკოლა ტელევიზორით დაასაჩქარა. არც მოსწულეებს შეურტყვენიათ თავი. შრომით სემესტრში თითოეული მათგანის მერე გამომუშაევებული (ოც-ოც მანეთამდე) თანხა მშვიდობის ფონდში გადაიჩტეს.

მაგრამ მარტო ამით როდი ამოიწურა კასის მე-3 საშუალო სკოლის პიონერთა შრომითი საქმიანობა. არ-



„არ არსებობს მცირე საქმე, თუ ის ხალხისა და სამშობლოსათვის სასარგებლოა! — ვ. ი. ლენინის სახელობის საყეშორთ პიონერთა ორგანიზაციის ცენტრალური საბჭოს მიმართვის ეს სიტყვები დინახუ სწორად გაიგეს კასის რაიონის პიონერებმა. და რომ ეს მართლაც ასეა, მათი ასახელო საქმეებით დასტურდება. ცნობილია: ქართლში ხეხილი და ყურტენი შედარებით გვიან მწიფდება და ამის გამო რთველიც მოგვიანებით იწყება ხოლმე. ასე იყო წელსაც. მართალია, წლევიანდელი ზაფხულის კირეულებამ, ხშირბმ სეტყვიანობამ მნიშვნელოვან დააზარალა ზერები, ხეხილი და ბოსტნენები, მაგრამ მოსავალი მიინც კარგი მოვიდა. კარგ მოსავალს დროული დაბინაეევაეც უნდა. ჰოდა, რაიონის პიონერ-მოსწულეებმა, როგორც ყოველთვის, ახლაც თქვეს თავიანთი სიტყვა: ისინი ვაყატურად ამოუღვენენ მზარში მებნლეებსა და მეევენახეებს.

კასის მე-3 საშუალო სკოლის თინა იოსებოძის სახელობის პიონერული რაზემეული ყოველ ცისმარე



დაღებების პერიოდში მათ 200 გრამი მურდანა 444.9 კილოგრამი აბრეშუმის პარკი მიიღეს და გამოუმუშავებელი თანხა — 5000 მანეთი — მშვილობის ფონდში გადარიცხეს. მთლიანად კი კასპის რაიონის პიონერ-მოსწავლეებმა 4956 გრამი მურისაგან 8313.2 კილოგრამი აბრეშუმის პარკი მიიღეს და აქედან მიღებული 78 683 მანეთი და 53 კაბიკი მთლიანად გადაურიცხეს მშვილობის ფონდს.

2 ოქტომბერს, როცა ჩვენი ქვეყნის ნორჩი ლენინელები საცავშირო ათინერულ ხაზზე დადგნენ, სხებთან ერთად კასპელი პიონერებიც გაეცნენ ე. ი. ლენინის სახელობის საცავშირო პიონერთა ორგანიზაციის ცენტრალური საბჭოს მიმართვას. ჩვენი ქვეყნის ნორჩი ლენინელები-საღმი, და საცავშირო მარშის ახალ ეტაპის დღეობა — „როგოლუცური გვაქვს ნაბიჯები!“ — კიდევ უფრო აღადგროვანა და მტკიცედ დარჩაბა ისინი. მესამე სტუდენტებმა პირობა დადეს, რომ მიმდინარე სასწავლო წელს უფრო უკეთ ისწავლიან, არ შეარცხვენენ თინა იოსებიძის სახელო, სამშობლოს ჩაბარებენ 500 კილოგრამ მაკულატურას, 2.5 ტონა ჯართს და შრომით სემესტრში კიდევ უფრო მეტი თავდადებით იმუშავენ.

თუ კასპელი პიონერები სამთავისის კოლმეურნეობას შრომით სემესტრში ამოუდგნენ მხარში, სამთავისებმა პიონერ-მოსწავლეებმა თავიანთი მინი-კოლმეურნეობა ჩამოაყალიბეს, თავმჯდომარედ მეცხრეკლასელი გიორგი ბიგანიშვილი აირჩიეს და კლასების მიხედვით ცალკეული ბრიგადები შექმნეს. მეთაურ კლასს, ანუ პირველ ბრიგადას ხელმძღვანელობს თამაზ თხილაუა, მეც-

ხრე კლასს — მეორე ბრიგადას — ბიძინა ილიურიძე, მერვე კლასს — მესამე ბრიგადას — ილია თამაზაშვილი და ასე შემდეგ. მეთექვსმეტე კლასის გამხრეტაშვილი კომკავშირის კომიტეტის მდივანია და, მისდასახელოდ უნდა ითქვას, საქმეს კარგად უძღვება. მინი-კოლმეურნეობას ჰყავს თავისი ბუხბალტერი, მონანგარიშები, აგრონომი, ერთი სიტყვით, აქ ყველაფერი ისეა, როგორც უფროსებთან.

კოლმეურნეობის მთავარი აგრონომი გელა მკვლიძე მხარში უდგას მინი-კოლმეურნეობის წევრებს. მზრუნველობასა და ყურადღებას არ აკლებს ნორჩ მევენახეებსა და მებადეებს. მინი-კოლმეურნეობის ერთი ჰექტარი ვენახი და ხუთი ჰექტარი ხეხილის ბაღები საიმედო ხელშია. ბავშვებმა გადაწყვიტეს, მეობსტენობაშიც სცადონ ძალა.

ნორჩმა მევენახეებმა ნდობა გაამართლეს: ვახის გასვლა, სასუქის შეტანა, გათხვნა, მწვანე ოპერაციები, შეწამვლა და, საერთოდ, ყველაფერი ის, რაც ვახს სჭირდება, თავის დროზე, აგროწესებისა და ვაღების დაკეთი ჩატარდა. ამან ნაყოფიც გამოიღო: ნორჩმა მევენახეებმა მიიღეს ვეგმური ხუთი ტონა ყურძენი. მეტაცე მოიწვედნენ, სეტყვას რომ არ დაეზიანებინა ვენახი...

მევენახეებს არც მებადეები ჩამორჩნენ. ხუთ ჰექტარ ხეხილის ბაღებშიც თავის დროზე გაეცნო ყველაფერი: ძირების შემობარვა, სასუქის შეტანა, შტამბების კირით შეეთრება, შეწამვლა... მოკლედ, მინი-კოლმეურნეობის წევრებმა ყველა ოპერაცია ხარისხიანად ჩატარეს და მისსავალიც კარგი მიიღეს — ორი მეოცი ტონა ვაშლი ჩააბარეს სახელმწიფოს.

თავიანთ საქმეს რომ მორჩნენ მინი-კოლმეურნეობის წევრები უფროსებს დაეხმარნენ რთველში. სამთავისელი პიონერ-მოსწავლეები ლევან და ნუკრი გამხრეტაშვილები, ნონა ქასოშვილი და დარეჯან ბალხამიშვილი ერთმანეთს ეჯობებოდნენ კალათების ავსებაში. მომდევნო მწკრივში ილია თამაზაშვილი და შხისა-დარ ცხვეთაძე, ქეთევან ფილიევი და ნალია ბიგანოვა ქარვისფერ მტვერებს ფრთხილად ალაგებდნენ ვედროებში. კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანი უშანგი ქასოშვილი მარჯვენას უქებდა გამრჩე გოგო-ბიჭებს, რომლებიც თითქმის ყოველდღიურად ას-ასრომოდნათ კილოგრამ ყურძენს კრეფდნენ.



სანამ საბჭოთაო მანანა ფოკი-ფოლა, აზარაფილი უზამენი უმთავში გროვებოდეს.

მანანის ძარა სწავალ იმსაგონა 4არვისუფრი მამწვანით.

საქ. სსრ კ. მარტისი  
სახ. სახ. რესპუბ.  
ბიბლიოთეკა

17.97

მინლია არაბული

მხატვარი  
რევაზ ცუცუერიძე

გ რ თ ხ რ ო ბ ა



# ბიბას აჯაპთ. დაჯაპთიანი

როცა ძალიან დავსულწუხდები და კაცის ნახვა მომენტრება, ვანოთ დურასთან მივდივარ ქაჩის ჭალაში. ის იქ საგზაო მშენებლობის ამონალის საწყობის ყარაულბოს. კარგი კაცია ვანოთ დურა. ბევრ ტყულ-მარ-თალს მომიყვება, მთურსა და ბარულს ჩამომითვლის, აი, ისეთსა და ისე, ჩემნაირ კაცს რომ სჭირდება სიმარტოვეში, და სანდანან თავისი ტყული თვითონაც ეყურება. დურა თუ საყარაულოში არ არის, შემცვლელები ჰყავს, სახლში ვაკითხავ. ჩემი გამოჩენა მთელ მის ოჯახს სულს უქცევს. ჩვენი ბარში გადასახლების დროს დურათ უმცროსა უნდა მოვლენოდა ქვეყანას და ძალა ვეღარ დაატანეს გადასახლებაზე. ასე რომ, დურა კერა-აუნგრეველია ჩვეს თემ-წყალზე. ერთი სოფლელები ვართ, მაგრამ ახლა სხვადასხვა ადგილას ვცხოვრობთ, ის — მაღლა და გაღმა, გველეშთი, მე — დაბლა და გამოღმა, სახილემი.

ქარიანი რომ დაუჩინა თოვლმა, ძალიან დავსულწუხდი და საწისქვილო გზას აფევეი ჩემი მამაბაბული სოფლისაკენ, სადაც დურა ცხოვრობს. წინაპართა ფეა-შელეულ გორგურიანებს მივა-დექი გველეთში,

მივადექი ჩემს ნაკენარ ადგილს, მაგრამ სახლების ნაცვლად ნასახლარები შემომგებუნენ, ძმა-შინშების ნაცვლად — სირუმე და ატრეცილი მიდამო. ერთ დროს საღსმრავალ ამ სოფელში კვამლი მხოლოდ ვანოთ დურას ბუსრიდან ამოდიოდა. ჩემმა მისვლამ იმ ლუსუმ თოვლში ძალიან გაახარა დურა. მოვესიყვარულეთ ერთმანეთს, დავტკბით, დავნაყრდით ერთმანეთის ნახვით ერთურობს დანატრებული შინშები. ამასობაში მისი დიაციც შემოვიდა, მათი ყმაწვილებიც შემოთითოვდნენ და კერაში ცეცხლი ავიჭიგადა. მზექალამ სახელდახელო ტაბლა გადმოიგვიდგა, — უური, ყველი და ერბო მოვიტანა, წინწანაქრიანი ხელადაც შემოვდა ტაბლაზე და თვითონ ჯერისათვის მზადებას შეუდგა.

დურამ წინწანაქარი ყანწში დაასხა და ტკივილნარევი სმით თქვა:

— ეს ყანწი და ხელადა აკათ სულხანაურს შაუნდნას! — თვალები დაიმწუხა და ქერის ერთნახადი სულუფრად გადაიწურა.

სულხანაური ჩვენი ახლობელი სოფლის მკვიდრია. ჩვენი სოფლის გასწვრივ, გაღმა მთაზეა შეფენილი მისი მოწმარო. ეს სოფლები ისე ახლოა, რომ სმამალდი საუბარი გაღმა-გამოღმა იმისი და გახედულ-გამოხედულ ყველაფერი კარგადაცა ჩანს. იმ სოფლის თავში გორაზეა წამომჯდარი უძმამინშო, უახლობელი სულხანაურის ქოხი. ეს ვეება კაცი ბანზე რომ გამოვა, ჩვენი სოფლიდან კარგადა ჩანს და იმისი სიმღერაც კარგად იმისი; თუმცა საზარელ დრიალს უფრო წაავებს, ვიდრე სიმღერას. სულხანაური კი მხოლოდ მამინ მღერის, როცა წუთისოფელი უჭირებს საქმეს; ძალიან რომ რაღაცა უჭიკებს გულზე, მამინ დრიალებს: — გულო, არ გასტყდი, ოხერო, ყოფილხარ ქვაზე მავარიო...

სულხანაური პირველი მსოფლიო ომის მონაწილეა.

დასახრული. თბ. „კიორი“ № 10, 11.

საქართველოს აკადემიის და  
3.1.1. ლენინის სახელობის  
კომუნალური რეკონსტრუქციის  
აქტივობების სამსახურის  
უფროსის  
საპატიო ნიშნის მქონე



**კიორი**

**12 დეკემბერი 1985**

იქიდან რომ დაბრუნდა, თავის მოვარძვლეთაგან აღარაინ დახვედრია ცოცხალი. დრო-ვამს ყველა მათგანისათვის, დროულად თუ არადროულად, მოუსავლეთს წასვლა მოუსჯია და მათ ნამყოფ-ნასახლარებზე შემზავებ სიოშუმს დახსადგურებინა. სულხანაურმა თავის სავარტომოს კუთვნილ ერთ კულაგამონგრეულ, მხარმოტეხილი ფრინველით გვერდზე აყირავებულ ქიოსსა მოუსწრო, რომელიც ანგრე-დანგრეა, შეაკეთ-შემოაკეთა, სა-საკვამი გაუკეთა, კერაზე ცეცხლი გააღვია და მარტოკაცის ცხოვრებას შეუდგა.

ამის ქორე კარგა ხანი იცოცხლა სულხანაურმა, მაგრამ მის მიწში არავის შეეხდა; არავის იცოდა, კერა საით იყო, ცეცხლი როგორ იწებებოდა. საკვირველი ის იყო, რომ, თუ ვინმეს თავისი სამყოფლის ახლომანლო დაგვეუბლო, უზარმაზარი კლიტის ჩარჩაზდა კარს, შესასვლელთან ჩამოვდებოდა გულხელდაკრფილი და ცისპირტბინად მიწუსხრამდე ასე იქნებოდა, თუკი მისი ქიოსის ახლომანლო ადამიანის გამოჩენის გუმინს არ გათვლიდა. ყველა, ვისაც ეკითხებოდა და არ ეკითხებოდა, დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ სულხანაურმა მოიღან ოქრო-ვერცხლის ნივთები, ფული და სამკაულები ჩამოიტანაო და ადამიანთა მიმართ უნდობლობაც ამ ქონების დაკარგვის შიშით არის გამოწვეულიო.

არ ვიცი, სულხანაურმა რა ჩამოიტანა პირველი მსოფლიო ომიდან იმ ჭრილობების გარდა, რომლებიც კარგად ეტყობოდა სახეზედა და მკვლავზედაც, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ამ ბედისგან მოძულებულ კაცს, რაც უნდა სმიდირე ჰქონოდა, მის ქიოს ავი გულთა და მიწვედ ხელით არავინ გაეკარებოდა. ავი ხელ-ნით თვავდაც არაინ შეეწუხებია ცხოვრებას.


სამადლოდ არაფერს იბოვოდა, მაგრამ თუ ვინმე წყალობას გაიღებდა და საგზალს გაატანდა, უარს ამ იტყოდა. სიხარულისა და მადლობის ნიშნად ერთს გრძლად ჩაიხიხითობებდა და მოწყალების მქმნელს უმაღვე გამოზრდებოდა. გარჯის მოყვარული არ იყო, მაგრამ სარჩო რომ შემოეღებოდა, ხელა გაუყვებოდა თავის ჭირ-ვარამდაბედეულ ვიწრო ბილიც. ჩამოიკარდიკარებოდა სოფიდან სოფლად, — ვის ყოვსე აუშენებდა, კარგა ხელისა იყო; ვის ტრავარტარს გაუმართავ; და, ესეც ეხერხებოდა; ვის სამწყესურში შესწევდა ხელს, ზოგჯერ არც ამაზე იტყოდა უკან. მუშაობისას არ აქებრდებოდა, ერთ დღეში გასაკეთებელს სამ დღეში ძლივს მოახმდა თავს, მაგრამ, რასაც ხელს მოჰკიდებდა, კაცის სული და გული ემჩნეოდა. გასამარჯლოდ მხოლოდ სარჩოს მიითხოვდა; სავანგებოდ წაღებულ გუდა-ტომარას გააპირთავებდა და ისეც თავის ქიოს დაღურუნდებოდა გასარბეული; გაბედნიერებული; ასეთი გამომეტყველება ჰქონდა, თორემ არავინ იცოდა მის გულში რა დუღდა, რა წუხილითა და სევდით იტყოდებოდა მისი წილი წუთისსოფელი. ვინ უყვარდა, ვინ ეჯავრებოდა ამ უწილანაწილოს, არც ეს ვინმემ იცოდა, არც ამას ვინმე კითხულობდა, რადგან სულხანაურის სიყვარულია და სიძლიერიც ყველაბთვის ერთნაირად

ფასობდა, მაგრამ, როგორც კი ჩვენი სოფელი ვინმე შემოხვედებოდა, ქალი თუ კაცი, სულ ერთი იყო, ჩემსა და გაგას საღანძღვს ჩამოუგებდა, — უსაქმ-უსაგლო ნივთიო, უწერინებო, მამცდრებო, თემ-სოფელიო, მამცდრებო-ამამზარებო, — მეც და სხვა ამდაგვარი სიტყვები ჰქონდა მომარჯვეული სულხანაურს ჩვეს შესამკობდა. არც ტყულობა, ბეჩოვია. მე და გაგა სწორები ვიყავით და, ერთთვის ამწავებულებო, ხან მთას ეკრემოდით, ხანაც ბარს; ცასქვეთად ბევრჯერ გავგითე-ეია, ბევრ სიფათსაც გადაყვრივართ, ჩვენი გულისთვის ჩვეს მშობლეს გვიწერ უსიამოვნებაც შეხვედრათო, მაგრამ ჩვენ არა გვიწოდებია რა, არც რამეს შევეწუხებო-ბივართ, არც რამეს შევეშინებოვართ და მაინც ჩვენსას ვაკეთებდით, გვიჯავრდებოდნენ თუ არ გვიჯავრდებოდნენ. ოღონდ სულხანაურს ქვრა მოგუხერხებო. ვერა და ვერ შევადლოით მის ქიოსში. მიყენეს ბიჭებს რამდენ-ჯერ გადავივლიდა მისთვის მთელი დღის საგზალი და თვითონ მშივრებს დაგვიადამებია ზაფხულის გრძელი დღე; მაგრამ სულ ამაოდ. ინტერესმა ბოლოს იქამდე იძალა, რომ ერთ დღეს, როცა სულხანაური სახლში აღარ გვეგულებოდა, მე და გაგამ ბანის ამოხრა და ქიოსში იქიდან ჩასვლა განვიზრახეთ. კიდევ დავკარიბ ბარ-წერაქვი მისი ქიოსის ბანს და ის იყო, საწადელიც უნდა ავევსებოდინა, რომ კინამდე სულხანაურის ხელის წერისანი გავხდით. რაღაც ბედზე შევასწარი თვალი შამბებში კატასავით ჩაშალულ, ხანჯალმომარჯვეულ სულხანაურს, რომელიც ნელა და ფრთხილად გვეპარებოდა. გაგა, თავს უშველი-შეთქი! — შევძასე და წინ ჩვენსა და უკან სულხანაური, ავსძალდით შეშინარაინ სვე-ურებებს. სიმარდემ გვიხსნა, თორემ თავებს დაგვაყრევინებდა ნაოზარი, კონტუზირებული სულხანაური.

კარგა ხანს გვლია მე და გაგას დაჭრილი დაფიცვით გაბოროტებულმა და აბოზოტრებულმა სულხანაურმა, მაგრამ რას დაგვეყოფოდა ცხენ-მხედარში გაწერთილი ბიჭებს. ჩვენი ხელში ჩაგდების იმედი რომ სხლიდა, ერთ ხვეში ზირქვე დაიხმო ილაჯაყვევტილი და ეჯავრმა და უძღურებამ დაიცივით ააკივლა, საწყალი. იმის მერე მე და გაგა არც სულხანაურს გავკარიბივართ ახლოს და არც იმის ქიოს.

აი, ამ სულხანაურის შესანდობარი თქვა დღვრამ პირველივე ყანწიო.

— უგონო რა ხარა, ცოცხლისად რახლა დღვრაც! — წამოეგვიდმწყურალა დაიცო დღვრას. მან კი ხელახლა შეავსო ყანწი და საუბარ-საუბრით ჩემქვე წამოიღო ყანწიანი ხელი, — ააჰლე, გამამართვი. — მეც გამოვართვი. — ჯვარ დაგიწერას დღვრათმ! — მიიხსრა და განაგრძო: — სულხანაური ცოცხალი აღარ არის, უთბო ვივრა აღარ უმღერია. მოკვდა სულხანაური, მადლი მოუღიდა, მაშნ დაღორებს! მაგრამ ეს კი არ ას საჯავროო, საჯავრო ისაა, რო მკვდრისად მიწათ მიმყრულ კვ აღარ ას ჩვენს თემ-წყაღვტ! რას შეესწრობოს წოდოლან კადო! — ვაა-



უმალ გადავიცი ტალავარს, აარალი ავისხი და გზას დავატეხე მასპინძლების ლოცვით გუდასავსე, გრძელნი თოვდა.

თოვლი ვერ იჭერდა ფეხს.

ჭირდა სიარული.

გრძელ სადილობისას მივედი სულხანაურის სოფელში. იქაც ნასხლარები შემომეგებნენ, იქვე მივიარ-მოვიარე და მივათვალ-მოვათვალევიერე მიღამო, მაგრამ ბოლი არსიდან ამოდიოდა, — ნიშანი ზამთარში აღამიანის აქ არსებობისა. დურამ კი მითხრა, გუშინ სოფელში კვალი შევიდა, ეტყობა, ვიღაცები სასულთარეფოდ მოვიდნენ და მოგებმარებიანო. ვინ უნდა მომეხმაროს, კაცის ჭაჭანება არა ჩანს, გარშემო დათოვლილი გორგურებია და ნასხლარები.

ბევრგან გატეხილიყო კეზი.

ბევრგან ეცემოდა ჭერი კერას.

მითხრილ-მოთხრილიყო ბან-კარი...

უსბად შევკრთი, ვრუანტელმა დამიარა. ჩაეხველე, მაგრამ სიჩუბე ვერ დავარღვიე და კიდევ უფრო ძალიან შევკრთი.

რა დროს მკვდრის ძებნა ამ უკაცრიელ ადგილებში, ისიც შეე ზამთარბადათ. უსაქმ-უსაგონოსავით რას დაეწაწალებ-მეთქი, გავიფიქრე და შიში რომ არ შემპარვოდა, თოფი დავცალე ერთხელ, მეორედ, მესამედ...

დურას კვილი შემომესმა, მოყურადებული ყოფილიყო.

იმ ადგილიდან, საითკენაც ვიჩქაროდი და მცხოვრებლები მეგულეებოდნენ, რაღაც ხმაური შემომესმა და ძალიან გამიხარდა: ის იყო, უნდა შემოვბრუნებულიყავი კიდევ, რომ ვიღაცამ შემომძახა:

— არ გაინძრე, თორემ მოუსავლეთ წავალავ!

ჩემკენ მოშფერილ ლულაზე შემვივარდა თვალი, ნიშანი ვიყავი ამოღებული. გაგჩერდი.

— იარაღი გააგდე! — შემომესმა უფრო მრისხანე ძახილი. მივხვდი, რაც მოჰყვებოდა ბრძანების შესრულებლობას და თოფი ყორეს მივაყუდე; თვითონ კი უჩუმრად გაეგრძელა და მორიგ ბრძანებას დაელოდე. იქ ჭერბოს კარმა გაიჭრიალა და მივხვდი, რომ ჩემკენ ვიღაცა წამოვიდა. რამდენიმე წუთის შემდეგ შუა ხნის ქალი მომიხლოვდა; მზერაუშორებლად შემომიარა, ჩემს თოფს დაავლო ხელი და საკმაოდ უკმეხად მითხრა:

— ვინ ხარ, აქ რას დაითრმითობენ?

— ვიგა ვარ, ელგუჯაური! — მივუვუე ხევსურულად, რომ მერტი ნდობა დამემსახურებოდა.

გვარ-სახელი რომ გაივო, ქალმა შეტი ცნობისმოყვარეობა გამოიჩინა:

— თორელის შვილი ხარა?

— ჰო, თორელის შვილი ვარ!

— აქ რამ მოვიყვანა ამ შუა ზამთარში? — დაინტერესდა ქალი.

— სულხანაურის სიკვდილმა მომიფუანა! — ვუთხარი ჩემს იარაღის ამყრელს.

— ჭვე მაკვდა?

ტოშიკავა დურამ და კიდევ ერთი გმინი გააყოლა თავის ნათქვამს, რის შემდეგ შორიდან შემოვლა აღარ დასჭირვებია და პირდაპირ მითხრა:

— მართალია, ვალ კი არაა შენი, სოფელ-ბიძაშვილ არა იყვ შენი სულხანაური, მაგრამ ამაჟამად ჩვენს თემ-წყალზე შენს მეტ კაც არ ასა და ამიტომ სახელიც შენი ას აქაური და სირცხვილიც, მკვდარსაც შენ უნდა უპატრონა და ცოცხალსაც! თუ ასლა წახვალ და იმ ბეჩავს მიწას როგორმე მიაბარებ, საკარგემოს მოგიტან, ჯვარის კარზე დაგაწეებ შენს სადღეგრძელოს, მმას გავსტებ შენს ვაჟობაზე!

დურა ამ სიტყვებს ისე შეუწხებული მუხუნებოდა, ისე კულდაგულ მითხოვდა სულხანაურის ჭირისუფლობას, რომ უარი ვედარ ვუთხარი, თანაც იმ ასაკში ვიყავი, როცა სისხლი ფათრეაქებისაკენ უფრო უხმობს ჯიქელს, ვიდრე სიღინჯისა და დაკვირვებულობისაკენ, ამიტომ ვუთხარი, წავალ-მეთქი.

მე და დურამ დიდხანს ვებრტყვით გულის ბუხარი ერთმანეთთან, მშვექალას გამომცხვარ კმეკულეებსაც მადიანად შევექცით, ბოლოს კი ყმის სადღეგრძელოც დავლიეთ და ჭერბოში ავედით დასაძინებლად.

4 ცისპირტენხას გამეღვიძა.

— ალბათ მოკვდა, ერთი კვირაა, აღარ უმღერია!  
— ძაღლ მიაკვდას სულში, თუ მაკვდა! — თქვა ჩემმა თანამოსაუბრემ და თან იქით ვიღაცას გასძახა:

— გამედედი, გამედედი! მამაშენის ნათლულიც მასულ ასე, რახელ ვაჟაც დამდგარ!

— რას ემართლები სულხანაურს? — ვუთხარი, ცოტა არ იყოს, ნაწყენმა.

— ძაღლ იყვა და იმას ვემართლები. ჩვენს ჭირ-ვარამზე სრუ მღეროდ. ცხვარ გაგვიწყვიტ ერთხან მგელმა, ლაშნ არ მათურეთიანი დილიდან წუხრამდე, მთელ დღეს მღეროდ.

— ჰოოო, ახლა ხო მაკრიფნ ლაშნი! — ვუთხარი ქალს და ჩემკენ მომავალ აბიკას შესახვედრად შევბრუნდი; ხიფათს გადავრჩითო, ღმერთს მადლობას ეუბნებოდა ჩემი ნათლიის შვილი.

ერთმანეთის მოკითხვის მერე ვუთხარი ჩემი მისვლის მიზეზი აბიკას და განზრახულივ გავეზიარე. კიო, გამოგვეგები, წაიდეო, — მითხრა აბიკამ და წავედით სოფლის ზემოთ სულხანაურის სახლისაკენ. ისე მოუხშირა თოვას, რომ თვალში მიტანილ თთის ვერ გაარჩევდი.

პირველად აბიკა შედგა სულხანაურის წინგარდაზე და ხმაძალდა დაიძახა:

— სულხანაურო!  
— ?!..

— სულხანაურო! — შევძახე მეც, მაგრამ ვინ გამცემდა ხმას.

აბიკა ეძვრა კარს, მაგრამ ძვრა ვერ უყო.

მერე მეც ვეძვარე კარს, მაგრამ ვერც მე ვუყავი ძვრა.

— დავანებოთ თავი! — თქვა აბიკამ.

— სირცხვილს დავიდებთ! — ვუთხარი მე და წინგარდაზე საკმაოდ დადებულ ქვას დავავლე ხელი და სიკვდილისთვის ჩარაზულ კარს დავაძვარე მთელი ძალითა და ღონით. კარად ჩაყუდებული მუხის ფიცარი შუაზე გასკდა, ნახევარი ჩვენკენ გადმოვარდა, ნახევარი კი კართან მოდგმულ ტახტში სულხანაურის გაცეიხულ გვამს დაეცა.

— მორჩენია დაღონებას, — თქვა აბიკამ.

— ახსონოს ღმერთმა! — ვთქვი მე და ტყავ-საღამო გადავაშორე...

მე და აბიკამ საფლავის ადგილი მოვიძიეთ, ქარჩინიჩაბი მოვიმარჯვეთ და სულხანაურს მარადსამყოფელი გავუმზადეთ. იქარუ ქალს სულხანაურის ქონება მოეძია

და გარეთ გამოეტანა: ვერცხლიანი ქამარ-ხანჯალი, ძველებური მონეტებით მონახვერებული ხომცა, ერთი ფარდავი, ერთი სვესურული ორშიანი ტოლის შარვალი, ერთი სამხედრო ფორმის ხალათი, რომელიც ისეთი ჭკუყიანი იყო, რომ ფერი აღარ ეტყობოდა.

ის შარვალი ჩავავიეთ სულხანაურს, ის ხალათი შემოვავიეთ მის გონიან სხეულს და იმ ფარდავით წავასვენეთ მისი გამუშეული სხეული, რომელიც ჩაცმის დროს ძლივს მივტერ-მოვტებე სასხრებში.

ძველი ცნობისმოყვარეობა ამიჩუქუნდა და სულხანაურის ცოდივლი ქონის კუთხე-კუნჭული მომაჩხრეკინა, მაგრამ, შენც არ მომიკვდე, იქ საპოვნელი არა იყო რა. გამოქსიოტული ფორეების გარდა შიგნით თვალი არაფერს ვხედავოდა.

რატომ არავის უშვებდა სულხანაური თავის ქონში? მაინც ვერ ამოვხსენი.

წინგარდაზე გამოვედი ისევ. ამინდი უფრო აირია; ცამ გული აიძვრია, მთებს ღრუბლები ჩამოაფარა, სვესუვეებს ქარი შეუსია და ცოტა ხნის შემდეგ სულხანაურის კარდაღვილ ქოხშიც გულამოსკნით აბრდა, როგორც მგლოვიარე, და მისი სამარეც მინამქრა თხილვების ძირში, ჩაიმაღა ჩვენი ანაკვალ-ჩანაკალიცა და, როგორც წინა დღით იყო, იქაურობამ ისეთივე იერი მიიღო.

აუცილებლად უნდა გამოემსწრო ამინდისათვის. კიდეც დავცალე ჩემი არშავიანი.

დურას კივილი შემომქმამა, მოყურებული ყოფილიყო ისევ.

დავემშვიდობე სულხანაურის მატირალთ და ჩემს ზგას დავადექი.

თოვია.


თოვილი ვერ იჭერდა ფეხს.

ჭირდა სიარული.

დაბინდებისას მივედი ვანოთ დურასთან და ყველაფერი დაწვირლებით ვუამბე. დურამ ვაფობა შემეიქო და შემპირდა, რომ ჩემს სადღევრძელოს ჯვარის კარზე იტყოდა და დააწესებდა.

გრძელ ვახშობისას დავბრუნდი ჩემს გამოყინულ სახლში დაღლილი; ყველამდე თოვლიმ ნაფუფქი.

მარტოცა ვარ და ძალიან ვსწუხდები. ყველა შემთხვევაში ვანოთ დურა მაგონდება და მასთან მივდივარ ქანის ჭალაში: ისიც მელოდება და, მისვლას რომ ვაგ-



ვიანებ, სწუსდება. მივალ მასთან და სასაუბრო არ გველევა.

ამ წუხილისა და მოწყენილობის ვამს, ქარში და თოვლში, ერთ ბურუსიან დღეს ჩემი ქალაქელი ძმობილები მომადგინენ კარზე. თვალს არ დავუჯერებ ცოტა არ იყოს, ნეუცნაურა მათი მოსვლა იმ ქარბუქიან ამინდში, გა-ნიკვირდა კიდევ ბიჭების სიმაძაქე, — ასეთ დროს სი-არული საშიშია, შეიძლება ზევაემა ისე მიგჩუქქოს, რომ ველდარავინ გიპოვოს და ბოლოს ველის ნადირთა ლუქმა გახდეს. გურამი და ვაჟა მაღაროსკარიდან ფეხით მოსულანი! კაი ვაგობაა, ღმერთმანი! მაგრამ გასაკვირი არაფერია! გურამი თუ მოვა, ასეთ ამინდში უნდა მოვიდეს; ის მოუსვენარი და ფათერაკების მაძებრარი ბიჭია. მისაღებ გამოცდებზე მასთან ვიყავი სახლში. იცოდა, რომ მამისეულ სახლში ვიზამთბებდი, ამიტომაც გამოუწვევია ჩემყენ შუა ზამთარში.

ძალიან გამიხარდა ჩემი ქალაქელი ძმობილების მოსვლა.

კარგა ხანი დარჩნენ ჩემთან. დღისით მთაზე დავდივართ, დარია თუ ავდარია, ჩვენი ჭაულით — სანადიროდ, მაგრამ ისეთი ხმაურით ავივლით მთის ფერდობებს, რომ ნადირს იქ ახლომანლო რა გაეჩერებს, საღამოთი ვბრუნდებით ჩემს სახლში, ქაზდარში გუდანურს ვაგვილით, წამოვწყებით და რიგრიგობით ვკითხულობთ „დავით აღმაშენებელს“. ერთად გვეძინება და ერთად გვეღვიძებდა.

ერთო მაქვს და ყველი. საფართხელების გამოცნობას კი გურამი არ გვანებებს მე და ვაჟას. იოლად გავდივართ.

მოსწყინდა ამინდს ჭირვეულობა. აიკარიანა. მზემ დაჰკრა თოვლს და ჩამოიწმინდა ფერდობები, გავიდ-გამოვიდა გზები და ჩემი ქალაქელი ძმობილებიც გამო-მეშვიდობნენ. გურამმა წასვლის წინ საბოლოოდ და-მარია, როგორ მემეცადინა, როგორ მოვზნადებულ-იყავი მისაღებ გამოცდებისათვის და როდის ჩავსულიყავი თბილისში.

გურამი და ვაჟა რომ წავიდნენ, უფრო მომეწყინა. ზამთარს ყავლი გაუვიდა, ვაზაფუხლი ნელ-ნელა შემოი-პარა მთების სიღრმეში, სიცოცხლე განძა. მომენტარა ხალხთან ყოფნა. სხვადასხვა თემ-წყლიდან შევავროვე ბიჭები — სუმბატათ გიორგი, საღირათ აბიკა, ქალიკათი გიგია, ბუხალათ დავითი, ბაბუათ ბათირა, სთისიათ მა-მუკა და გზის ოსტატს, ძია ვასოს, მივაღდექი ორწყალში, გზაზე მუშაობა გვინდა და ვაგმუშავე-მეთქი. ძია ვასომ სინაბულით მიგვიღო, დამწმინა ბრიგადირად და ორ-წყლიდან ბარისასომდე გზა ჩავგაბარა. ადიდებული არავეი არღვევს ჯებირებსა და გაცხებს. ერთი სიტყვით, სამუშაო ბლომად არის და ჩვენცა ვმუშაობთ.

უკვე მეორე თვე გადის, გზაზე ვართ.

როგორც ძია ვასო გვეუბნება, ჩვენმა სიყოჩაღის ამა-ბაჟმა ქალაქის სამმართველომდე ჩააღწია. კარგი ამაბვი ჩადის ქალაქში. მალე უნდა მოვიდნენ ქალაქის სამმარ-თველოდან, ნახონ, რას ვაკეთებთ და გასაბრუნელოც მოგვტანონ. და აი, როცა ჩვენი საგზაო ბრიგადა გავ-



სარბული აშენებს ჯებირს, რომ არაგვმა ვერ წაღვეკოს ჭალისპირა გზა, ამოვიდნენ სამმართველოდან, მათავალ-მთათვალღირეს ჩვენი ნამუშევარი, გამოგველაპარაკენ, გამოგვესაუბრნენ.

ხელფასები დავვირიგეს, მე პრივილეგიისაც გამო-მიჩერეს და პირველი ჩემი ნამუშევარი ავიღე.

— შეილო, რომ მუშაობ, კარგია, მაგრამ სწავლას ეცადე, ვერე არ დარჩე, — მითხრა გამომშვიდობებისას სტუმართაგან უფროსმა.

მალე დავანებე თავი გზაზე მუშაობას, ისევ წიგნებს ჩავუჯექი და მისაღები გამოცდებისთვის მზადების ბო-ლო საფეხურს შევერტე გურამის მიერ შედგენილი გეგ-მის მიხედვით. ამასობაში მამაჩემი ამოსახლდა ბარი-დან. ის ხელახლა ისაბურდებს მამა-პაპათა ნასახლარზე, მე კი უნდა წავიდე, მისაღები გამოცდები ახლოვდება და უნდა ჩავაბარო უმაღლესში, ასეთი ფიცი მაქვს და-დებული საკუთარ თავთან. წელს უსათუოდ ჩავირიცხ-ნები, ყველაფერი კარგად ვიცი და იმითმ. გამზადე-ბული ვარ, ყოყლიმოყლის მანქანას ველოდები. ვნახოთ, რა ფეხზე წამოყვანს ფოსტის მანქანის შოფერი.

ამაშენ ღმერთმა ყოყლიმოყლის ოჯახი, კარგ ფეხზე წამოყვანა! ჩავაბარე მისაღები გამოცდები და სტუდენტე გახსენ. ამ კვირასაც ვიქნები ჩემს სოფელში, ცოტას და-ვისვენებ, და მერე კი წავალ, ისევ ყოყლიმოყლის მან-ქანას ვაგვევები, როგორც წინგზობას, ვიცი, რომ ახლაც კარგ ფეხზე წამოყვანა!



### ს ი მ ლ რ ა ა ლ ა მ ი ს ზ ე

ალამისი — ალაზი ხალხის წიალიდან ამოსული სიტყვაა. იგი ჩვენებურად სასწაულოშემდეგ ავგაროვის მნიშვნელობით იხმარება. მასში გაერთიანებულია პათონების, მეგობრობის, სიმართლისა და კაცურკაცობის ცნებები.

ალამისი სიმღერაა და ძმებს შორის მარად ისმის, მეგობრობის ფიქვერცხლია და სიმტკიცე ბალახარისი.

ალამისი სულისდგმაა, გულისთქმაა ალამისი, ვინც ალამისს ინარჩუნებს, ეს სიმღერაც — ალაღ მისი.

ალამისზე როცა ფიქრობ, სიმხნეს გმატებს ძალა მისი, რადგან ძმა თუ ძმას არ იძიობს, ისე არ ჭრის ალამისი.

ალამისი სობრძნე არის და ღირსება მარადისი, ალამისით წინ მიმავალს შიში არ აქვს არავისი.

ალამისი სარკე არის, სულის სარკე არამისი, აფხაზური ზნის და ქცევის საფერი და საკადრისი.

მან წარსული გამიცოცხლა, რასაც უკვე ფარავს ნისლი; ვინც ალამისს აალმასებს, ჩემი სიტყვაც — ალაღ მისი.

ძველ გმირებზე როცა ვფიქრობ, ჩემიც მესმის ძმათა სისხლის, მათი ღზინი, მათი ჭირი და სურვილი მათთან მისვლის

ზოგჯერ ცხრა ზღვას მომატარებს, ზოგჯერ ცხრა მთას გადამისვრის... და თუ სადმე წაებორძიკდი, ლექსი ვერ ვთქვი საკადრისი,

მადლი მისხნის და მირონი, ერეკული შუკი მისხნის ალამისის. *ნიკოლოზი*

### ძველი ნახლეჯი

სავაზაფხულო გრგვინვის წყალობით თუ განვითქული ცხენის ჭივინზე აღსდგნენ თბილისის ძველი სახლები, თითქოს ერთბაშად გამოიღვიძეს...

ჯერ გაიოცეს სიწყნარე დიდი, რაც მეგზურივით ახლდა დაფონს, მერე მეტეტხან თვალი რომ ჰკიდეს მეფე გორგასალს, ჰკადრეს მდაბიოდ:

— სულ გამოცვლილა, ვეზადეთ, ქვეყანა, და მზეც ყველაფერს ადგას გვირგვინად; შენ კი, მეღელ-კაცო, რა დაგეშარათა, მახვილი კიდევ არ ჩაგვიკა?!

მშვიდობით, მამა-პაპათა ჯაფაშეღეულო კლდე-ღრუბო!

მშვიდობით, ჩემი აკვნის ალაგო, სადაც წყაროთა ჩხრილ-ჩაჩხურში და ფრთოსანთა საკვირველ შვილ-ნივილში ბევრჯერ ტბებლად ჩამძიხებთა სამწყესურში ნამყოფს!

მშვიდობით, შავი კალმასით უბეებაესილო დათვი-სურაგ!

მშვიდობით, ჩემო სწორფერო და ტოლ-სწორებო!

მშვიდობით, წინაპართა სასოებით ნალოცო ადგილის დედავ!

მე არც ცხენ-მხედარში ვინმე წამალავს და არც მთიბეღლ-მამკალში ვინმე მაწვეს, სუთი წლით მაინც მივდივარ და იმიტომ.

ხალხი აქ ისევ მომრავლდება, მაგრამ მე არავინ მას-სენებს, ჯვარის კარზე არავინ იტყვის ჩემს სადღეგრძელოს, როგორც ვანთ დურა შპირდებოდა; იმიტომ არავინ იტყვის, რომ არავის ეცოდინება ორ ზამთარ-ზაფხულს ჩემი აქ ყოფნის ამბავი, ორ ზამთარ-ზაფხულს რომ ვახშიანებდი ჩვენს უკაცრიელ ხეობას, ჩვენს თემ-წყალს, ყველაფრის წესრიგს რომ ვაყენებდი ჩვენს ხეობაზე, სადაც ჩემსობას არც ხელმრუდობა მომხდარა, არც ვინმეს მოძმისთვის უღალატია და არც უპატიური საქციელი გაგონილა!

ორ ზამთარ-ზაფხულს უკაც-უპატრონობა არ ვაგრძ-

ნობინე არც ცოცხალსა და არც მკვდარს.

მშვიდობით, ჩემი მუხლის საცდელი აღმართ-დაღმართებო! თქვენს უბე-კალთაში დავიბადე და მეამაყება, რომ თვრამეტი წლის განმავლობაში თქვენს რჩინის კანონებსა და ადათ-წესებზე ვიზრდებოდი და მოვასწარი თქვენთან კაცად ჩამოყალიბება! ვიცი, ძნელი როა კაი ყმის სახელის დამკვიდრება, და უფრო ძნელი როა დამკვიდრებულის მოვლა-პატრონობა!

ენახოთ, როგორ იქნება! მშვიდობით!



საქართველოს  
საზოგადოებრივი  
მედიის  
სახელმწიფო  
სამსახური

ქვეყნის  
საზოგადოებრივი  
მედიის  
სახელმწიფო  
სამსახური

ციკლოში გავატარე 5 დღე და ათობით უპატრონო ბავშვს ვესაუბრე. მათ უმეტესობა პროსტიტუციით, წერილობითი ქურდობით ანდა ნარკოტიკებით ვაჭრობით ცხოვრობს. მათ უკირთ სამუშაოს შოვნა, რადგან არაქვთ მუდმივი მისამართი, ტელეფონი, საბუთები, ოფიციალურად ისინი, უბრალოდ, არ არსებობენ. ყურანალისტ მოჰყავს 16 წლის ღვინის ნაამბობი, რომლის მამაც 1980 წელს დაითხოვეს მეტალურგიული ქარხნიდან. „...ჩვენ კინაღამ დავიხოვეთ შიმშილით, — ამბობდა ის ხმის კანკალთ, — ვერ ვშოულობდით საქმელს, არ გვქონდა სინათლე. ვკამდით მხოლოდ იმას, რასაც ნავის

ვედროებსა და ყუთებში მოვიტყობდით“.

უპატრონო ბავშვთა უცნაურესი ერთგულე სისტემის დევესტრუქციული დირექტორი ჯონ ბიუსი აღნიშნავს, რომ ყოველწლიურად აშშ-ში იკარგება დაახლოებით 3 ათასი მოზარდი. „ზოგ მათგანს კლავენ, — ამბობს ბიუსი, — ძალზე მადლია სიყვლილიანობა. ისინი იტანჯებიან შიმშილით, ავადმყოფობით; ღვინა მათ შორის თვითმკვლელობის პროცენტი; მათ ხშირად ექსპლუატაციას უწევენ სუტენიორები და ისინი სექსუალური დანაშაულობების მსხვერპლნი ხდებიან“.

აშშ-ში დანაშაულებრივი ბავშვ-

20 процентов всех детей, которые поступают в больницы штата Нью-Йорк, страдают от заболеваний, вызванных недоеданием.



Сотни тысяч американских детей ежедневно ложатся спать голодными. Особенно тяжело положение сложилось у негритских малышей, из которых каждый четвертый живет в нищете. Часто вместо бобов бывает единственной их пищей.

მსოფლიოს მილიონობით ბავშვგატაცებით კითხულობს მარკ ტვენის შესანიშნავ წიგნს ჰეკლბერი ფინის საოცარ თავგადასავლებზე. მაგრამ ცნობილ მწერალს აზრადაც არ მოუვიდოდა, რომ გვიდოდა საუკუნე და ამერიკაში იქნებოდა ათასობით ისეთი ბავშვი, რომელიც ტოვებს მშობლიურ სახლს და მთელ ქვეყანაში დღაწალებს. ეს ბავშვები სახლიდან რომანტიკული თავგადასავლების საქმენულად როდი ვარბიან, თითოეული მათგანის ცხოვრება აღსაესეა ტრაგიზმით.

რა აიძულეს ბავშვებს სახლიდან წაიღონ? ბევრი მოზარდი ქუჩაში აღმოჩნდება ხოლმე იმის გამო, რომ მშობლებს, რომლებმაც სამუშაო დაკარგეს, აღარ შესწევთ მათი რჩენის უნარი. ზოგი გაუღრბის ოჯახში შექმნილ მძიმე სტრესულ სიტუაციებს. ზოგი კი მშობლების სასტიკ მოპყრობას არიდებს თავს.

ისინი, ნახევრად მშვიდნი, შემთხვევითი სამუშაოს იმედზე მყოფნი, თავს აფარებენ ქალაქის შენობების ნანგრევებს, ღამეს ათევენ პარკებში.

ამერიკის მთავრობის ცნობით აშშ-ში არის მილიონზე მეტი უპატრონო ბავშვი, რომელთა საშუალო ასაკია 15 წელი. ამერიკელი ყურანალისტ დოსტონ რეიდერი, რომელმაც ყურანალ „პერედიში“ ამ უპატრონო ბავშვებზე ნარკვევების მთელი სერია გამოაქვეყნა, წერს: „მე სან-ფრან-

# სტაქროლი ფანსკუნის ფრთხა



## ნუნუ ქალაქიძე

მხატვარი ზურ ღიზინაძე

მითოსრთა-ჯააბარი

ქალაქის განაბირას, ძველებურ პატარა უბანში, თეატრალურ დეკორაციას რომ მოაგონებდა მწახველს, ერთი მხატვარი ცხოვრობდა.

ყოველ ცისმარე დღეს, დილაადრინანდ, მხატვარი მხარზე გადაკიდებული ყუთით ჩამოირბენდა ვიწრო, მიწვეულ-მიწვეულ ქუჩებს. როგორც ყველა მხატვარს, მასაც ჰქონდა სამხატვრო ყუთი საღებავებისა და ფუნჯებისასთვის. ყუთი უბრალო ხისა იყო, ძველი. საკეტიც უბრალო ჰქონდა. მაგრამ ამის მიუხედავად, მშვენიერად ასრულებდა თავის დანიშნულებას. მხატვარს სულ თან დაჰქონდა ეს ყუთი, სადაც არ უნდა წასულიყო. იმ უბნის მცხოვრებლებმა ისე შეაჩვეეს თვლი მხარზე ყუთდაკიდებულ მხატვარს, უფრო თან დაუნახათ, საკუთარ თვალს ალბათ არც კი დაუვებდნენ.

როგორც კი ქალაქის ქვეყნილს გასდებოდა, მხატვარი ნაბიჯს შეანელებდა ხოლმე. მისი მზერაც სულ სხვანაირი, უფრო დაკვირვებულის ხდებოდა. თითქოს სულ სხვა სამყაროში შედგაო ფეხი, ისეთი ერთი გამაოთქმელი გრძნობა ეუფლებოდა მთელ ხის ასრებას; თითქოს ყოველ დღეს ისა თუ ბუჩქის მიღმა რაღაც გამოუნობი, ზღაპრული ქმნილებე-

ბი იყენებ ჩასაფრებულნი და ყოველ წამს შეიძლებოდა რაღაც სასწაული მომხდარიყო. ეს მხატვარს უღრნად დაე არ გაუკვირდებოდა და არც გამოეკარებოდა მსგეველობიდან, თუმცა ტანსაცმელზე საღებავების წინსწლები რომ ჰქონდა შემხმარი, ამას ხშირად ვერ ამჩნევდა ხოლმე. მიწვევის ყვავილები ხომ ნამდვილი პატარა უმჯკუნები იყვნენ, მზაკრულად შესეკონებდნენ თვალელებში, თითქოს რაღაც დიდი ეშმაკობისათვის აქეზებდნენ. მწვანე ბალახი მთელი მონდომებით ცდილობდა მთ დამაშავს, მაგრამ მხატვრის თვალს რას დაუმალავდა. მოჯადოებულები დიდხანს დაჰყურებდა ყვავილთა სიფრიფანა, გამჭვირვალე ფურცლებს და ფრთა ნამდვილი ოკეანის აღმოჩენით გაოცებული, უხმოდ ახედავდა ხოლმე ზეცას. დაეჭვებული გულში ფიქრობდა: ნეტავი თუ შეძლებ ოდესმე ამ ზღვა სილამაზის ერთ წვეთს მაინც მივწვეყო ჩემი ფუნჯით.

ბოლოს რაიმეზე შეაჩერებდა ყურადღებას, იქვე ჩამოხულებდა, გახსნიდა თავის ყუთს და იწყებდა ხატვას. ლურჯად მოკამაყე ცას თუ დახატარული ყვავილის ნახ ფურცლებს რომ ხატავდა, ისე ფრთხილად ეხებოდა ფუნჯით ტილოს, თითქოს შიშობდა, რაიმე არ ევნო, საღებავით არ გაუთხუნა მათი მითრთლავი გამჭვირვალეობა.

სალამო ხანს, როცა გამჭვირვალე ფერებს მუქი ჩრდილები აამღვრებდნენ, მხატვარი თავს ანებებდა ხატვას. ყუთს დახურავდა, მხარზე გადაკიდებდა და მიდიოდა შინისაკენ დაღლილ-დაქანცული. ასე მეთრდებოდა ყოველდღე.

ერთხელ, ასეთი ნეტიალის დროს, საოცარი სილამაზის ფრთა შეამჩნია მწვანე ბალახებზე დაგდებული. დასწვდა და აიღო. დიდხანს ათვალიერა, მაგრამ ვერც ერთ ფრინველს ვერ მიაკუთვნა. რაღაც მეტად უცნაური იერი ედო. ვერ იტყოდი, რა ფერისა იყო. ცისარტყელას ყველა ფერი გადასდიოდა თვალისთვის მო-

სის ერთ-ერთი ეპიცენტრია ნიუ-იორკის ტაიმს-სკვერი და მისი მიმდებარე ქუჩები. აქ ათასობით სუტენიორი ეწევა დანაშაულებრივ მოქმედებას, რასაც დაახლოებით მინაცემებით, მათთვის 1,5 მილიარდ-დოლარის მიზეზა მოაქვს. ამ რაცნობა ფრანგული გაზეთის „მონდის“ კორესპონდენტს ფრანგმა ბერმა ბრუსმა, რომელიც ცდილობს „ნიუ-იორკის დაკარგული ბავშვების“ გადარჩენას და აწყობს მათთვის თავშესაფრებს: „...ვასულ თვეში ორგოვონა ერთ-ერთი სარისკობის ფანჯრიდან გადმოავადეს, მესამე გოგონას ხელები წააჭრეს. ნაბოგინა 15 წლის ბიჭის ნაკუწებად დაჩეხილი გეპი.

ზოგიერთი ბავშვი ნაცემი და დასახიჩრებელია — მათ სასტიკად აწამებენ. ჩვეულებრივად, — განავრძობს ბრუსი, — ყველაფერი იმითა იწყება, რომ ბავშვები სახლიდან გარბიან. ჩვენ ყოველწლიურად ვცდილობთ ისინი დავაბრუნოთ ოჯახში, მაგრამ ამას ძალზე იშვიათად ვახერხებთ, რადგან მათი მშობლები უმეტესწილად უმუშევრები არიან.“

— ამერიკის საზოგადოება დიდ ეალშია ბავშვებთან, — აცხადებს ცნობილი საბავშვო ფსიქიატრი რ. კოულზი. — ჩვენ ხშირად ვლამბარაკობთ იმაზე, რომ მშობლები სასტიკად ეპყრობიან შვილებს, მაშინ, როდესაც ყველაზე საშინელი სისასტიკე თვით ჩვენი სახელმწიფო პოლიტიკა. ჩვენი ქვეყნის საბავშვო დაწესებულებები საეალოლო მდგომარეობაშია, მაგრამ მთავრობა არაფერს აკეთებს ამის გამოსასწორებლად. ამასთან ის უმუშევრად გასცემს მილიარდებს ახალი რაქეტებისათვის.

ბავშვობადაკარგულნი დაძრწიან ამერიკის გზებზე ყველაზე მდიდარი კაპიტლისტური ქვეყნის მოხალეები. დღევანდელი ამერიკის ტრაგედია შეიძლება ვუწოდოთ იმ ყოფას, რომელშიც აშშ-ის განკიცხული ბავშვები იმყოფებიან.

ი. შინაილოვი  
„ნედელთადა“.

ეს ნამდვილად ზღაპრული ფსკუნჯის ფრთა უნდა იყოს, გაიფიქრა გაოცებულმა მხატვარმა. არ შეიძინა ნაწვეს, ან ფარშევანგს, ან სოსოხს. ან სხვა რომელიმე, სიღამაზით განთქმულ ფრინველს ასეთი იშვიათი ელფერის ბუმბული ჰქონდესო.

მთელი დღე თან ატარა თავისი ნაპოვნი. საღამოს, ხატვას რომ მორჩა, ისევ თან წაიღო შინ. ნაწი ყვა-ვილივით სათუთად ეჭირა ხელში ისეთი ბედნიერი მოაბიჯებდა; თითქოს რაღაც დიდი განძისთვის მიეგნოს.

შინც კარგა ხანს ათვალერა ფრთა. და რაც უფრო მეტს აკვირდებოდა, მით უფრო მეტი გაოცება იპყრობდა ფრთა ჯადოსნური ლივ-ლივით მოხიბლულს. დარწმუნდა რომ, ოდესღაც ზღაპრულ ფსკუნჯს ეკუთვნოდა ეს ლამაზი ფრთა, ახლა კი თვითონ გამხდარიყო მისი ბედნიერი მფლობელი.

თვალერებით გული რომ იჯერა, თავის ოთახში მისთვის ადგილის მიიჩნა დააპირა.

მაგრამ აქ ერთი პრობლემა წამოიჭრა მის წინაშე: სად უნდა შეენახა ზღაპრული ფსკუნჯის ფრთა?

ზღაპრული ფსკუნჯის ფრთის პოვნა სასუქმარო ამბავი როდია. ეს ზეცის დიდი წყალობაა, რაც იშვიათად თუ ეღირსება ვინმეს. კაცმა იგი ოქროს ზარდახში უნდა შეინახოს, დიდი ხელთნებით დამზადებულ, ჩუქურთმებით დამშვენებულ ოქროს ზარდახში... ასეთი რამ მხოლოდ მეფეებს თუ ექნებათ, მე კი აბა რა გამაჩნია მაგის მსგავსიო, ფიქრობდა საგონებელში ჩავარდნილი მხატვარი და თავის პატარა, უბრალო ბინას ათვალერებდა.

რამდენიც არ აცეცა თვალებით, ვერაფერი ვერ აღმოაჩინა ისეთი, მისი საკადრისი ყოფილიყო. ლარნა კაც კი არა ჰქონდა, რომ შიგ ჩაედო ლამაზი ყვაილივით.

იფიქრა, იფიქრა და, სხვა რომ ვერაფერი შეარჩია, ფსკუნჯის ფრთა თავის სამხატვრო ყუთში ჩაიღო, სა-

ღებავებისა და ფუნჯების გვერდით. მხატვარს სომ ამ ყუთზე ძვირფასი არც არაფერი გააჩნდა. მანაქვე მე-დამ თან დაჰქონდა რგი და შექმლს, როცა კი მოენატრებოდა ლამაზი ფრთა, მაშინვე დახედდა მისთვის.

ამის შემდეგ ყველაფერი ძველებურად მიდიოდა: მხატვარი ისევ ისე დაეხეტებოდა მხარზე გადაკიდებულ უბრალო ხის ყუთით და კვლავ ხარბად დაეძებდა ირგვლივ რაიმე მშვენიერს, სანამ ბოლოს სადმე არ ჩაიმუხლებდა.

და ყოველთვის, ხატვის დაწყებამდე, ჯერ ზღაპრული ფსკუნჯის ფრთას ათვალერებდა სოლმე. რამდენჯერაც არ უნდა დეხედდა, ახალ ახალ ელფერს პოულობდა მასში.

მერე ფრთას ისევ თავის ადგილას დებდა და ფუნჯს იღებდა ხელში.

ხატვის დროსაც ხშირ-ხშირად დახედავდა სოლმე იღუშალი შუქით მოციმციმე ფრთას, თვალებით ესევარულებოდა.


ხატავდა მხატვარი — ნელ-ნელა, თითქოსდა შეუმჩვენვლად ემატებოდა ნახატს ნახატი. და ეს ნახატები მშვენიერი იყვნენ — ამჩნევდა ის.

არც სხვებს გამოაპირავიათ ეს უკვე ყურადღება მიაქციეს მის ნახატებს. ადრე თუ გულგრილად გადასვლდებდნენ სოლმე, ახლა დიდი გაოცება და აღტაცება ეტყობოდათ. ანციფრებდათ გამჭვირვალე, ხელთუქმნელი სინათლე, რომელიც ჯადოსნურ შარავანდედად ადგა ყოველ მათგანს. რაღაც დიდი ზეციური მადლითა ნაკურთხი შენი ფუნჯიო, ერთხმად ეუბნებოდნენ მნახველები.

ბედნიერი იყო მხატვარი, მეტაჟ დიდი ფასი დაედო მის ნახატებს. ამასთან ერთად, მხატვრის სამოქმედო ასპარეზიც გაფართოვდა; ადრე თუ მშობლიური ქალაქის ახლომასლო ახერხებდა ლამაზი პეიზაჟების და სანახების აღმოჩენას, ახლა შორეულ ქვეყნებშიც მიემგზავრებოდა. ძველი ხის ყუთის ნაცვლად ახალი ყუთი შეიძინა. დილაჯზე ხელს დააჭერდა და, თავსახური თავისით აისდებოდა.

საღებავებისა და ფუნჯების გვერდით უკვე აღარ იღო ზღაპრული

უხელთებული იღუშალი შუქით მოხილს.



ფასკუნჯის ფრთა. მხატვარმა იგი ძველ ხის ყუთში დატოვა. ერთი პორთა კი იფიქრა, ახალში გაღმურტანა, მაგრამ ბავშვურ თამაშობად მოეჩვენა ასეთი საქციელი. ეს უკვე აღარ შეეფერება, გაიფიქრა, ვინმემ რომ დამინახოს, სასაცილოდ ამიგდებსო.

თანაც არ ეცალა მისთვის, იმდენი ნაენობ-მეგობარი და თაყვანისმცემელი გამოურჩნდა.

მაინც ერთხელ გულმა არ მოუთმინა, მაღულად ახადა ყუთს თავი, რათა ფასკუნჯის ფრთისთვის დაეხედა.

დახვედა და ისე აღარ მოიხიბლა მისი სილამაზით, როგორც ადრე იხიბლებოდა.

— იმდენი არაფერია. აი აქ, დიდი ქალაქის პარკში ისეთი ლამაზი ფრინველები იყვნენ, ამაზე ნაკლებად ლამაზი ბუმბული არც იმით ჰქონდათო. — თქვა და გულგრილად დაახურა ყუთს თავი.

ამის შემდეგ კარგა ხანი გავიდა, სანამ ძველ ყუთს მიაკითხავდა. ერთხელ თაყვანისმცემლებმა ძვირფასი ბროლის ლარნაკი შედგნის საჩუქრად. მისთვის ადგილის ძებნაში მხატვარმა ხის ყუთს დაადგა თვალთ.

ლარნაკს ძველი ყუთის ადგილას რომ დგამდა, მხატვარს გაახსენდა, ერთ დროს როგორ ოცნებობდა ბროლის ლარნაკში ჩაედო ზღაპრული ფასკუნჯის ფრთა. ამ მოკონებით ღიმილმოგვირბოდა ახადა ყუთს თავი, დაიჯერდა ფრთას და კიდევ უფრო გაუფერულებული მოეჩვენა იგი.

— ეჰ, ეს ალბათ არც არის ზღაპრული ფასკუნჯის ფრთა. ეს მაშინ მომჩვენა, როცა გულუბრყვილო ყმაწვილი ვიყავი, — ამ სიტყვებით მხატვარმა სადღაც კუთხეში მიაგდო ხის ყუთი და მთლად დაივიწყა იგი, როგორც ბავშვი. ივიწყებს ხოლმე ძველ, გამოუსადეგარ სათამაშოს.

მერე ისევ მოხვდა თვალში, როცა ახალ ბინაში გადადიოდა. ასეთ

დროს ხომ ყველა მივიწყებული ნივთი გამოდის დღის სინათლეზე. დაუფიქრებლად ახადა ყუთს თავი, დაიჯერდა ფრთას და სულ უბრალო, ფერდაკარგული ბუმბული შერჩა ხელში.

— ნუთუ ამ ინდაურის ფრთას ვინახავდი ამდენ ხანს ასეთი სასოებით? — თქვა გაცოცხლებმა მხატვარმა და ფრთა მოისროლა. იმ დღეს ძლიერი ქარი ქროდა. ქარმა აიტაცა ზღაპრული ფასკუნჯის ფრთა და გააქანა. სულ მაღე იგი მხატვრის თვალსაწიერიდან გაქრა.

მხატვარმა ძველი ხის ყუთიც მოიშორა თავიდან, ძველ ბინაში დატოვა. ახალ, კეთილმოწყობილ ბინაში ძვირფასი ავეჯის გვერდით მისთვის ადგილის მიჩენა აუკარად შეუძლებელი ეჩვენა. წერილმანი საზურუნავისგან თვედახსნილი მხატვარი ისევ მთელი გულისყურით მიუბრუნდა თავის საქმეს. ახალი ნახატების სერია შექმნა, რაც, მისი აზრით, ადრინდელზე ბევრად უკეთესი უნდა ყოფილიყო, რაკი ასე დაიხვეწა მისი ტექნიკა, ასე ბევრი რამ ნახა და გაიგო. დიდი იმედებით აღესილა გაიტანა ისინი გამოფენაზე.

და, მისდა გასაოცრად, არავის მოეწონა ისინი.

— ეს ნახატები არ ჰგავანან შენს ადრინდელ ნამუშევრებს, — უთხრეს მხატვარს. — ძალიან უფერულები არიან.

მხატვარი ნირწამხდარი და ჯაერიანი დაბრუნდა გამოფენიდან. ქება-დიდებას ჩვეულმა ძლივს გადაიტანა ეს მარცხი. მერე ისევ მთელი მონღოლებით შეუდგა მუშაობას. ცდილობდა, თავისი ძველი სახელი აღედგინა როგორმე, ისევ დაუნახატებლეთუქმენელი შუქით მოსილი ნახატები.

კვლავ მარცხი განიცადა. ხალხს გაცოცხლებული იჩქნავდა

